

საბჭოთა

1990
საბჭოთა
21
ს. ბ. ნ. ს. ბ.
№100 (10317)
ფანი 3 კაპ.

ბაჭთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

საბჭოთა
საბჭოთა
ბიბლიოთეკა

საბ. კვ. ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო
ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ,
НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ

საბჭოთა სსრ უზენაესი საბჭოს შესი

საქართველოს მომავალი პარლამენტი უნდა გახდეს ხე-
ლისუფლების სამუშაო, დინამიური ორგანო, რომელიც
ნამდვილად გამოხატავს ხალხის ნებას, შეძლებს დაცვას
მთელი რესპუბლიკის, მისი თითოეული მოქალაქის ინტე-
რესების. ასეთი განწყობილებით შეუდგა მუშაობას 17
აგვისტოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სხდომათა
დარბაზში რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უზენაესი
საბჭოს მეთექვსმეტე სესია, სესიაზე მოწვეული იყვნენ
სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების
ხელმძღვანელები, საქართველოს პოლიტი-
კური პარტიათა და მოძრაობათა წარმომადგენლები, ში-
ნობისა და კულტურის მოღვაწენი, რესპუბლიკის მან-
ობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრე-
ზიდიუმის თავმჯდომარე ბ. გუმბარძიამ.

სესიის დღის წესრიგშია საკითხები:

1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა
არჩევნების კანონპროექტები.
2. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს კომისიის დასკ-
ვნა მოქალაქეთა შრავალი წლის საჩივრების შესწავლის გამო.
3. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულებათა დამტკიცება.

შტკიცდება სესიის მუშაობის წესი.

იმის გამო, რომ სესიას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება,
გ. გუმბარძიამ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრე-
ზიდიუმის სახელით მიმართა მოავრობის სახლთან მიმდ-
ნარე მიტინგის მონაწილეებს და მოუწოდა გამოიჩინონ
სიმშვიდე და თავშეკავება, რათა ნორმალური პირობებში
შეუქმნან სესიის მუშაობას, მისცენ დეპუტატებს შესაძლ-
ებლობა ობიექტურად, პირუთვნელად იმსჯელონ და მიიღ-
ონ სწორი გადაწყვეტილებანი.

სესიას წინ უძღვოდა დაძაბული მუშაობა წინათ გამოქ-
ვეებული სამივე კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო
განხილვის შედეგების შესაჯამებლად. ბევრი რამ გაკეთ-
და საიმისოდ, რომ უკეთ გაეთვალისწინებინათ რესპუბლიკის
მოსახლეობის აზრი, პოლიტიკური ოპონენტების შეხედუ-
ლებანი ტერმინიტად დემოკრატიულ საფუძველზე პრო-
ესიული პარლამენტის ფორმირების ფუძემდებელ დებულ-
ებებზე.

ძნელად მიმდინარეობდა ეს მუშაობა. მასში მონაწილე-
ობდნენ როგორც რესპუბლიკის ახლანდელი დეპუტატთა
კორპუსის წარმომადგენლები, ისე მთელი რიგი პოლიტიკ-
ური პარტიებისა და მოძრაობების მოღვაწენი. მისი მიზ-
ანი დაქვემდებარა კონსენსუსის მიღწევას ისეთი სკვა-
ძის სადავო საკითხებზე, როგორც არის: არჩევნების მოწ-
ყობის სისტემა, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რაოდენ-
ობრივი შემადგენლობა, პარტიების რეგისტრაციის წესი,

იმის განსაზღვრა, თუ რა პირობებით შეუძლიათ მათ
წარმოდგენილი იყვნენ პარლამენტის შემადგენლობაში. წარ-
მოდგენილი კანონპროექტების განხილვის შედეგების
დრმა, ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე მომზადდა
ახალი კანონის პროექტის ვარიანტი, რომელიც დეპუტა-
ტებს დაურიგდათ სესიის დაწყებამდე.

მოსხენება სესიის დღის წესრიგის პირველ საკითხზე
გაკეთა ბ. გუმბარძიამ.

მოსხენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ
დეპუტატები ვ. შარაშენიძე, ლ. ხაბაშვილი, რ. ხაბა-
შვილი, დ. ხაბაშვილი, ვ. რაშვილი, ა.
კახაშვილი, ჯ. ჩარბინიანი, რ. გორდემანიანი, ნ. ქელ-
ხაშვილი, ა. გომიკიანი, ნ. ნათაძე, ნ. გვალაშვილი-
შვილი, ლ. ლომიკიანი, მ. კორჭაშვილი,
„მრავალი მაგიდის“ წარმომადგენელი ზ. გამსახურდია,
დეპუტატები ბ. ლომიკიანი, რ. ხაბაშვილი, რ. მინი-
აძე, ნ. ჩარბინიანი, ვ. კახაშვილი, ვ. ანათიანი, ა.
ბარბაქაძე.

სესიის სარედაქციო კომისია შეუდგა როგორც ვაშ-
ხელების გამოთქმული, ისე წერილობით შემოსული წი-
ნადადებების შესწავლას, ანალიზსა და განყოფილებას,
რომლებიც ეხება საქართველოს სამოქალაქო პარლამენტის
რიცხოვნების საკითხს.

18 აგვისტოს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევა-
ს უზენაესი საბჭოს მეთექვსმეტე სესიამ განაგრძო მუშაობა.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-
მჯდომარე ბ. გუმბარძიამ განაცხადა, რომ წინადადით
გამართა სესიის სარედაქციო კომისიის სხდომა, რომელ-
მაც განიხილა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხი-
ლვის დროს კამათში გამოთქმული და წერილობით შემო-
სული წინადადებანი რესპუბლიკის მომავალი პარლამენტის
რაოდენობრივი შემადგენლობის შესახებ. შეისწავლა და
გაანალიზა რა ისინი, კომისიამ განაწავდა ეს წინადად-
ებანი და თავის დასკვნას წარუდგინა სესიას.

ამავე დროს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდი-
უმის წევრთა დავალებით გ. გუმბარძიამ გააკეთა შემდ-
გებო განცხადება. მიუხედავად იმისა, თქვა მან, რომ გუ-

ინ სესიის დაწყების წინ მოავრობის სახალხოსთან მიმდ-
ნარე მიტინგის მონაწილეებს მოუწოდებდა გამოეჩინათ სი-
მშვიდე და თავშეკავება, რათა შექმნილიყო მუშაობის
ნორმალური პირობები, ვითარება სესიის გარშემო კვლავ
დაძაბულია. გუმბარძიამ დღის სხდომების შემდეგ ზოგი-
ერთ დეპუტატს ქუჩაში, მოგვიანებით კი სასტუმროებშიც
ტელეფონით შეურაცხყოფდნენ, ემუქრებოდნენ იმათ.
ვისი პოზიცია იყო ემთხვევა ოპონენტთა შეხედულებებს.
დაძაბულობა, სამწუხაროდ, დღესაც არ კლებულობს. ამ-
იტომ კვლავ მოვუწოდებთ მომხრეებს წესრიგისათვის,
რათა მოგვცენ ნაყოფიერი მუშაობის შესაძლებლობა.

რამდენიმე ხნის შემდეგ სესიამ განაგრძო არჩევნების
კანონპროექტების საკითხის განხილვა. განახლებულ კ-
მაში მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე შენიშვნები და
წინადადებები გამოთქვეს დეპუტატებმა ნ. ნათაძემ, ნ. ში-

თანაშვილმა, ა. ბურჯანაძემ, ბ. ანდრონიკაშვილ-
მა, ე. შენგელაია, რ. კონცეპციამ, ა. ბარბაქაძე-
მ, ი. მენაღარიშვილმა, ბ. ციციშვილმა, ე. ყუარაშვილმა,
სსრ კავშირის სახალხო დეპუტატმა ბ. ბაბაშვილმა, დეპ-
უტატებმა რ. მინაშვილმა, ნ. გუმბარძიამ, ჯ. გორ-
გომიანი, ნ. შაბაშვილი, რ. ჯახაშვილი, ზ. ლომიანი, ნ. ბა-
შვილი, ი. კალანდარიშვილმა.

ამით კამათი დღის წესრიგის პირველი საკითხის გამო
შეწყდა.

შეხვედრების შემდეგ სესიის მონაწილეებმა განსაზღვრეს
არჩევნების კანონის შეთანხმებული პროექტის დამატებ-
ანი და ცვლილებანი ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში
შესატანად.

ამ დღეს სესიის მუშაობამ გვიანობამდე გასტანა.
(სამინფორმაციო)

16 აგვისტოს თბილისში გაიმართა
საქართველოს ეურნალისტთა დამ-
ოკიდებელი კავშირის პირველი
შენიშნული მიუხედავად იმისა, რომ
ამ შემოკიდებებში კავშირის დამ-
ფუძნებელი ყოილობის შემდეგ
სულ თხის თვე გავიდა, სამდევნომ
საქართველოში მიიჩნია გაგვობისათვის
ნებადართა ანგარიში ამ ხნის მან-
ძილზე გაწეული მუშაობის შესახებ.
თითქოსდა, სარისკოა ესოდენ მოკ-
ლე პერიოდის საქმიანობის შედე-
გები განიხილო პლენუმზე, რომელ-
მაც ფაქტობრივად უნდა მიიღებოდა
წინადადებანი ორგანიზაციული საკითხების
დასაქმრას, მაგრამ როგორც სინა-
ტიკურად აღმოჩნდა, განვლილ
დროს მანძილზე ჩვენმა კავშირ-
მა კვლავ უნდა, რომლებსაც ხმა
მიეცათ დამფუძნებელ ყოილობა-
ზე. იმაზე, რამდენჯერმე უფრო
ბეტ კონკრეტულ საქმეს მოგვხ-
დავით, იმდენად ჩვენ, ზოგის და
მშულის მოველოდით.

საბჭოთა უზენაესი საბჭოს კავშირის პლენუმი

აელოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ
საქართველოს ეურნალისტის პენ-
სიაზე მყოფი 90 ვეტერანი ასლა-
ილებს თავისი არტუდ დიდ ბენ-
სიის სოლიდურ დანაშაბს. სხვათა
შორის, პლენუმზე გულისტკივილით
შევიტყვეო, რომ საქართველოს
მასობრივი ინფორმაციის საშუა-
ლებათა კვლევ 300-მდე ყოფილი
(საწყენი სიტყვაა — ყოფილი) პენ-
სიონერი ეურნალისტთა კავშირის
წევრი ელის თავის რიგს ამგვარ
დამბარების საკითხის განხილვაში,
გასაგებია, რომ ასეთ სიტუაცია-
ში კავშირს, შემოკიდებების სა-
კითხებთან ერთად, უხდება მთელი
ძალ-ღონე მოახმაროს იმას, რომ
განმრტყოს მატერიალურ-ტექნი-
კური ბაზა და ამით შეძლებისდე-
გვარად ხელი შეუწყოს ეურნალ-
ისტთა მატერიალური მდგომარეობა-

ობას, თუმცა, ჩვენ დიდხანს ჩავ-
ვაგონებდნენ ამ საკითხების დამ-
ტრულად საწინააღმდეგო გაგებას,
რის წყალობითაც, ალბათ, როგ-
ორც პლენუმზე აღნიშნა, ამჟამად
საქართველოს თითქმის ყველა
ეურნალისტი მატერიალურ გავი-
რებას განიცდის.

და მაინც, ამ ოთხი თვის მანძი-
ლზე მოეწყო შემოკიდებითი კო-
ნკურსები, რეგიონების დღებზე,
როცა იმართებოდა შეხვედრები
ეურნალისტებთან, რომელთა მუ-
შაობის პირობებსაც დღეაქალაქ-
ურს ვერ უწოდებ (თუმცა, არც
დღეაქალაქში ვართ დაღვნილებნი),
დაისახა საერთო ღონისძიებანი
და ა. შ.

პლენუმის მონაწილეებმა გამო-
ხატეს თავიანთი დამოკიდებულება
საქართველოს უზენაესი საბჭოს
არჩევნების შესახებ გამოქვეყნებ-
ული კანონის პროექტებისადმი.
(სამინფორმაციო)

ქ. ზუგდიდის მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო ალფერის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკის კომისიის ახლანდელი მიღებული მონაცემების საფუძველზე სახელმწიფო სტატისტიკის ზუგდიდის საქალაქო განყოფილება აცხადებს სახალხო შედეგებს ქალაქ ზუგდიდის მოსახლეობის რიცხვის, ასაკობრივი შემადგენლობის, ქორწინების, ოჯახის რიცხვის, განათლების დონის, ეროვნებისა და არსებობის საშუალებათა წყაროების შესახებ, რომლებიც მიღებულია 1989 წლის აღწერის მონაცემების დამუშავების საფუძველზე.

1. 1989 წლის 12-იანვრისათვის ქ. ზუგდიდის სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხვა შეადგინა 80,0 ათასი, ხოლო მუდმივი მოსახლეობის რიცხვა 49,6 და 1979 წელთან შედარებით ქალაქის მუდმივი მოსახლეობა გაიზარდა 5,7 ათასით, ანუ 13,0 პროცენტით, მაშინ, როცა მთლიანად საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი მოსახლეობის მატებამ, ამავე პერიოდში შეადგინა 8,2 პროცენტი, ხოლო რესპუბლიკის ქალაქის მოსახლეობისა 18,5 პროცენტი.

1978-1989 წლებში ქალაქ ზუგდიდის მოსახლეობის საშუალო წლიურმა მატებამ შეადგინა 0,8 პროცენტი, ამავე პერიოდში რესპუბლიკის ქალაქის მოსახლეობამ იმატა 1,5 პროცენტით.

ქ. ზუგდიდის მოსახლეობის რიცხვის შედარებით მაღალი საშუალო წლიური მატება იყო სამოციან წლებში 2,0 პროცენტი, სამოციან წლების პირველ ნახევარში უფრო დაბალი შობადობისა და უფრო მაღალი ბუნებრივი მატების ხარჯზე. ამ პერიოდისათვის რესპუბლიკაში მოსახლეობის რიცხვის საშუალო წლიურმა მატებამ შეადგინა 1,8 პროცენტი, ხოლო ქალაქის მოსახლეობისა 2,6 პროცენტი. სამოცდაათიან წლების დამდეგად, ქ. ზუგდიდის მოსახლეობის მატების ტემპი 2,0 პროცენტიდან 1,5 პროცენტამდე შემცირდა საშუალოდ წელიწადში.

2. ასაკის მიხედვით მუდმივი მოსახლეობის განაწილებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	რიცხ. ათასი		შეღარ. შეღ. პროც.
	1989	1979 წ. 1978 წ.	
მთელი მოსახლეობა	49,6	113,0	100,0
მთ შორის შემდეგი ასაკისა			
წელი			
0-9	7,4	108,8	14,9
10-19	7,9	100,0	15,9
20-29	7,6	108,5	15,3
30-39	8,0	133,3	16,1
40-49	6,1	96,8	12,3
50-59	5,9	118,0	11,9
60-69	4,3	138,7	8,7
70-79	1,9	135,7	3,8
80-წლის და უხუცესი	0,5	12,5	1,0
შრომის უნარიანი ასაკზე უფ.	12,4	107,8	25,0
შრომის უნარიანი	29,0	111,1	58,5
შრომის უნარიანი ასაკზე უფ.	8,2	130,2	16,5

ასაკობრივ სტრუქტურაში ყურადღებას იპყრობს 40-49 წლის ასაკის პირთა რიცხვის შემცირება (1979 წელთან შედარებით) 3,2 პროცენტით, აგრეთვე მათი წილის შემცირება მოსახლეობის საერთო რიცხვში — 2,1 პროცენტული პუნქტით. ასევე აღინიშნა 10-19 წლის ასაკის პირთა ხვედრითი წილის შემცირება მოსახლეობის საერთო რიცხვში 2,1 პროცენტით.

გასული 10 წლის მანძილზე შრომისუნარიანი მოსახლეობის მიღებამ (18-59 წლის მამაკაცები, 16-54 წლის ქალები) შეადგინა 2,9 ათასი, ანუ 11,2 პროცენტი, მაშინ, როცა მისი ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რიცხვში 1,0 პროცენტით შემცირდა.

აღინიშნა ქალაქის მოსახლეობის დაბერების პროცენტი. აღწერათა შუა პერიოდში შრომისუნარიანი ასაკზე უფროს პირთა რიცხვი გაიზარდა 30,2 პროცენტით, ამ ასაკობრივი ჯგუფის წილად უკვე მოდის მთელი მოსახლეობის 16,5 პროცენტი, რაც 2,3 პროცენტით მეტია ვიდრე 1979 წელს.

3. ქალაქის მუდმივი მოსახლეობის საერთო რიცხვი მამაკაცები შეადგენენ 28,4 ათასს (47,8 პროცენტს) ქალები 26,2 ათასს (52,7 პროცენტს), აღინიშნება მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება. თუ 1979 წელს ყოველ ათას ქალს მოდიოდა 885 მამაკაცი, 1989 წელს მოვიდა 888, ქალთა რიცხვის სიჭარბე მამაკაცებთან შედარებით იწყება 21 წლის ასაკიდან. 1989 წლის აღწერით 21 წლამდე მამაკაცთა რაოდენობა, ამავე ასაკის ქალთა რაოდენობას კარბობს 4,0 ათასით, ანუ 12,7 პროცენტით, ხოლო 21 წლისა და უფროს ასაკის მამაკაცთა რაოდენობა 3,7 ათასი, ანუ 19,7 პროცენტით, ნაკლებია ქალთა რაოდენობაზე.

ყოველივე ეს გამოწვეულია უფროს ასაკში მამაკაცთა უფრო დაბალი სიცოცხლიანობით.

4. ქალაქ ზუგდიდში აღწერის დღისათვის იმყოფებოდა ქორწინებაში 11888 მამაკაცი, 20592 ქალი. ქორწინების მდგომარეობით ქალაქის მოსახლეობის განაწილება ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

შესაბამის ასაკში ქორწინდგომარეობაში მყოფ პირთა პროცენტები	ქალები	
	იმყოფება	ქორწინებაში
16 წლის და უხუცესი ასაკის მთელი მოსახლეობა	66,6	58,4
16-19 წლის	2,7	13,2
20-24 წლის	23,6	47,6
25-29 წლის	54,5	67,5
30-39 წლის	79,5	75,2
40-49 წლის	91,4	76,1
50-59 წლის	92,6	66,8
60-წლის და უხუცესი	84,7	35,9

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ქ. ზუგდიდში გაიზარდა ქორწინებაში მყოფი მამაკაცთა ხვედრითი წილი 87,8 პროცენტთან 88,6 პროცენტამდე. აღინიშნება 16-19 წლის ასაკში ქორწინებაში მყოფი ქალთა წილის გადიდება (12,8 პროცენტთან 13,2 პროცენტამდე), რაც მოწმობს გაცილებით ადრინდელ ასაკში დაქორწინებულთა რიცხვის

ზრდას. ამასთან 20-24 წლის ასაკში აღინიშნება განქორწინებულთა ხვედრითი წილის ზრდა: მამაკაცების — 0,2 პროცენტიდან 0,5 პროცენტამდე, ქალებისა — 1,5 პროცენტიდან 1,7 პროცენტამდე. აღწერის შუა პერიოდში შესამჩნევად ამაღლდა, როგორც მთელი, ისე დასაქმებული მოსახლეობის დონე:

	უმალ. და საშ. სრული და არასრ. განათ.		მთ შორის უმაღლ. დამთ. უმაღლ. დაუმაღლ.	
	1989 წ.	1979 წ.	1989 წ.	1979 წ.
15 წლის და უხუცესი ასაკის მთელი მოსახლეობა ათასი	1979 წ.	29442	4121	538
ათასი კაცი	1989 წ.	36199	6243	937
1989 წელი პროცენტობით		1229	151,5	174,2
1979 წელთან შედარებით				
15 წლისა და უხუცესი ასაკის მთლიან სულ მოსახლეზე 1979 წ.	88,4	124	16	
1989 წ.	96,4	166	25	
დასაქმებული მოსახლეობა ათასი კაცი 1979 წ.	22328	3719	419	
1989 წ.	25704	5557	676	
1989 წელი პროცენტობით				
1979 წელთან შედარებით	115,1	149,4	161,3	
1000 და დასაქმებულზე 1979 წ.	671	112	12	
1989 წ.	685	148	18	

მიმდინარეობდა ქალაქის მოსახლეობის განათლების დონის ამაღლება. უმაღლესი და საშუალო (სრული და არასრული) განათლების მქონეთა რიცხვი 1979 წელთან შედარებით გაიზარდა 22,9 პროცენტით. უმაღლეს და უმაღლესმდგომარეობითა რიცხვმა იმატა 51,5 პროცენტით და მან შეადგინა 6248 კაცი.

1979 წელს საშუალოდ ქალაქში 1000 სულ მოსახლეზე თუ მოდიოდა უმაღლესი განათლების მქონე 124 კაცი 1989 წელს მოდის 166 კაცი.

6. 1989 წლის აღწერის დროს მიღებულია ცნობები ქალაქად

მცხოვრები ყველა ეროვნების მოსახლეობის შესახებ. ეროვნება, ისევე როგორც წინადადებული აღწერების დროს, მოსახლეობამ აღნიშნა თავისი თვითშეგნების საფუძველზე, ბავშვთა ეროვნებას განსაზღვრავდნენ მშობლები.

1989 წელს ქ. ზუგდიდში მცხოვრები ქართველთა რიცხვა შეადგინა 45941 და 1979 წელთან შედარებით 14 პროცენტით გაიზარდა.

ქ. ზუგდიდში მოსახლეობის რიცხვის შეცვლა ცალკეული ეროვნების მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

	პროც. ეროვნ. პირთა რიცხვი, კაცი		პროც. შედეგ. შეღარ.
	1989 წ.	1979 წ.	
მთელი მოსახლეობა	49614	112,9	100,0
1. ქართველები	45941	114,0	92,6
2. რუსი	2376	65,3	12,1
3. უკრაინელი	436	163,3	0,9
4. აზერბაიჯანელი	133	147,8	0,3
5. სომეხი	120	102,6	0,2
6. ბელორუსი	68	68	0,1
7. ბერძენი	47	188,0	0,09
8. ოსი	46	88,6	0,09

9. თათარი	29	0,38
10. ებრაელი	8	30,7
სხვა ეროვნება:	410	146,4
		0,3

განვლილი 10 წლის მანძილზე აღინიშნება უკრაინელის 168,8 პროცენტით აზერბაიჯანელთა 47,8 პროცენტით, ბერძენის 88,9 პროცენტით მატება. ამასთან მოსახლეობის საერთო რიცხვზე შემცირდა ებრაელის, სომეხის, ოსის, ხვედრითი წილი. აღნიშნულ დინამიკაზე გარკვეულ გავლენა მოახდინა მან, რომ უკანასკნელ ხანს ღრმად გახალხთა ეროვნული თვითშეგნების გრძნობა.

8. არსებობის სახსრების წყაროს მიხედვით ქალაქის მოსახლეობა განაწილდა შემდეგნაირად:

	ათასი კაცი		1989 წ. პროც. შეღ.
	1989 წ.	1979 წ.	
მთელი მოსახლეობა	49,6	113,9	100,0
სახალხო მეურნეობაში მომუშავენი პირად და მშ. მეურნ. მომუშავეთა გარდა.	26,0	110,9	52,7
სტიპენდიანტები.	0,4	70,5	0,8
პენსიონრები და პირები, რომელიც იღებენ აგრეთვე სახელმწიფო უზრუნველყოფაზე მყოფი სხვა პირები.	5,1	118,3	10,3
ცალკეულ პირთა კმაყოფილება მყოფი, აგრეთვე მხოლოდ პირად და მშ. მეურნეობაში დასაქმებულნი.	18,0	116,5	36,3
არსებობის საშუალების სხვა წყაროს მქონე და ის პირები, რომლებიც არ აღნიშნავენ წყაროს.	0,6	51,3	0,1

1979 წელთან შედარებით სახალხო მეურნეობაში მომუშავეთა რიცხვი 1989 წლის აღწერის მომენტისათვის გაიზარდა და 10,9 პროცენტით, ამასთან გაიზარდა პენსიონრების, და მარტების მიმღები და სახელმწიფოს უზრუნველყოფაზე მყოფი პირთა რიცხვი 15,8 პროცენტით.

აღინიშნა სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილის შემცირება. 1979 წელთან შედარებით 52,7 პროცენტთან 52,5 პროცენტამდე. აღნიშნული მაჩვენებელი მთლიანად რესპუბლიკაში შემცირდა 50,5 პროცენტთან 48,8 პროცენტამდე.

1989 წლის აღწერით ადრინდელი იყვნენ აგრეთვე პირები, რომლებსაც აქვთ არსებობის სახსრების ორი / წყარო. ესენი ძირითადად არიან მომუშავე პენსიონრები, აგრეთვე პირები, რომლებიც თავიანთ ძირითად საქმიანობას უთავსებენ პირად და მშ. მეურნეობაში დასაქმებას, ან იღებენ სტიპენდიას და პენსიას.

3. ზარკაძე

სახელმწიფო სტატისტიკის ზუგდიდის საქალაქო განყოფილების უფროსი.

